



2-909

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL - NATIONAL FOOD AGENCY

№ 02.-7-05/864

30 მაისი 2012წ.

საქართველოს სტრატეგიული ავტოვებისა და განვითარების ცენტრის პროექტის „მომხმარებლები სასურსათო პროდუქტებს აკონტროლებენ“ დირექტორს ქალბატონ ლია თოდუას

ქალბატონო ლია,

თქვენი 2012 წლის 24 მაისის №2-208 და №2-209 წერილების პასუხად, რომელიც შეეხება თქვენს მიერ ლაბორატორიულად გამოკვლეულ შ.პ.ს. „ქართული ტუდის ჯომპანია“-ს მიერ წარმოებულ ტარხუნის ლიმონათში „ზედაზენი“ და ე.წ. „ლოტკინი“-ს პურში გამოვლენილ დარღვევის ფაქტებზე რეაგირების თხოვნას, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“-ს მე-5 მუხლის თანახმად, არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი არის სააგენტოს უფლებამოსილი მოხელის მიერ საცალო ვაჭრობის პუნქტიდან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული დასკვნა, სახელმწიფო ან სამართალდამცავი ორგანოს წერილობითი შუამდგომლობა.

ასევე გაცნობებთ, რომ ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში

გაითვალისწინებს თქვენს წერილებში მითითებულ ფაქტებს კანონმდებლობით
განსაზღვრული ქმედებების განხორციელებისას.

პატივისცემით,

(წ. გომიზიძე)

დავით კობერიძე
სააგენტოს უფროსი